



**ფინანსური წიგნიერების ფაქტორების
მარკეტინგული კვლევა და რეგიონის მდგრადი
ბანკითარება**

DOI:10.36962/ECS105/5-7/2023-17

მაია ახვლედიანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
maia.akhvlediani1@atsu.edu.ge

ირინე კოპალიანი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი

ნათელა ჯანელიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროს ადამიანთა ღირებულებების სისტემაში ფულს და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ კეთილდღეობას უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საქართველოს მოსახლეობის ფინანსური კულტურა, წიგნიერება და გამოცდილება მხოლოდ ახლა იწყებს ჩამოყალიბებას. საკვლევი თემის აქტუალობა აიხსნება იმით, რომ დღეს აუცილებელია მოქალაქეების განწყობისა და საჭიროებების რეგულარული მონიტორინგი და გარკვეულ ფინანსურ პროდუქტებზე მოთხოვნის

დინამიკის თვალყურის დევნება. იმ შეცდომების ან გაუგებრობების იდენტიფიცირება, რომლებსაც მოქალაქეები აწყდებიან ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების დროს. კვლევის მიზანია, ფინანსური წიგნიერების მიმართულებით, რეგიონული კვლევების გაღრმავება. კერძოდ, ფინანსური წიგნიერების სხვადასხვა ფაქტორების (ფინანსური უნარები, ფინანსური ქცევა, ღირებულებები, ფულის მართვის სტილი, ფინანსური ცოდნა) მიხედვით, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდების ფინანსური განათლების დონის კვლევა.

ნაშრომში, საკვლევი პრობლემის მიმართ, სხვადასხვა სამეცნიერო მიდგომების სინთეზის და ანალიზის, ანკეტური გამოკითხვის და სტატისტიკური დამუშავების მეთოდების გამოყენებით შესწავლილი იქნა ფინანსური წიგნიერების ფაქტორების გავლენა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ფინანსურ ქცევაზე. ნერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მარკეტინგული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, დაარსდა ფინანსური განათლების ცენტრი. მომავალში ცენტრის ფუნქციონირების მთავარი მიზანი იქნება სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ფინანსური განათლების კულტურის ხელშეწყობა, ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსების ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ცოდნა, ფინანსური კულტურა, ფინანსური ქცევა, ფინანსური უნარები, ფინანსური ინსტიტუტები, ფინანსური განათლება, ფინანსური კომპეტენცია, ღირებულებები.

ძირითადი ტექსტი:

თანამედროვე სოციალურ - ეკონომიკურ პირობებში. „ფინანსური წიგნიერების“ კონცეფცია პოლიტიკურ, გეოგრაფიულ და სოციალურ - ეკონომიკურ საზღვრებს გასცდა და მოსახლეობის ფინანსური განათლების საჭიროება ექსპონენტურად იზრდება. რაც, უპირველესყოფლისა განპირობებულია იმით, რომ ციფრული ტექნოლოგიები საქონლისა და მომსახურების შეძენის პროცესს აადვილებენ და, შესაბამისად, მომხმარებელთა

ირაციონალური ეკონომიკური ქცევის რისკები მზარდია. ფინანსური განათლების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე მეტყველებს საქართველოს ეროვნული ბანკის, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის (SBFIC) მხარდაჭერითა და სახელმწიფო სტრუქტურების, კერძო ფინანსური სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, შემუშავებული და დამტკიცებული ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია მომხმარებლთა უფლებების დაცვის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია და ის ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობისა და ინდივიდების ფინანსური კეთილდღეობის მხარდაჭერას ემსახურება. სტრატეგიის მიზანია ხელი შეუწყოს ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ქვეყნის მოსახლეობის ცოდნის ამაღლებას, განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოებასა და ფინანსური განათლების ამაღლების ამოცანის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებას¹. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოაქვეყნებულ საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიაში ერთ-ერთი პრიორიტეტული სამიზნე სეგმენტი გახლავთ ახალგაზრდა თაობა. მიგვაჩნია, რომ ეს მიდგომები სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტთა ფინანსური წიგნიერების ეროვნულ სტანდარტებში უნდა აისახოს. ამ მიზნით მიზანშეწონილად გვესახება ქვეყნის მასშტაბით რეგიონული კვლევების გაღრმავება და იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს ფინანსური წიგნიერების უნარების განვითარება სტუდენტებს და მოსწავლეებს სასარგებლო ფინანსური და სამომხმარებლო ჩვევების ჩამოყალიბებაში.

ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს თავიანთ სამეცნიერო შრომებში აქტიურად აშუქებენ საზღვარგარეთელი მკვლევარები, ა. ატკინსონი, ა. ლუსარდი, დ. რემონდი და ა.შ. ატკინსონმა განსაზღვრა ფინანსური წიგნიერება, როგორც უნარების, ცნობიერების, ცოდნის ერთობლიობა, ადამიანების

¹ <https://finedu.gov.ge/ge/finansuri-ganatlebis-strategia-1>

მიერ გონივრული გადამწყვეტილებების მისაღებად, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის მიღწევას¹. დ. რემონდმა გააანალიზა ფინანსური წიგნიერების სხვადასხვა დეფინიცია და ინდიკატორი.² ლუსარდმა შეისწავლა ფინანსური წიგნიერების დონე მოსახლეობის გარკვეულ დემოგრაფიულ სამიზნე ჯგუფებს შორის (მაგალითად, განათლების არმქონე ადამიანები).³ სამომხმარებლო ქცევის ირაციონალური მოდელზე ყურადღებას ამახვილებენ მკვლევარები: ტ. ბ. ვებლენი, ვ. პარეტო, დ. კანემანი, ა. ტვერსკი და ა.შ. მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია ახალგაზრდების ფინანსური განათლების მნიშვნელობის მიზეზები⁴:

- ახალგაზრდა თაობის განსაკუთრებული ფინანსური მოწყვლადობა ოჯახების საჭიროებებთან შეუსაბამობის გამო;
- ბავშვების აღზრდაში მშობლების ფინანსური ქცევის მზარდი მნიშვნელობა;
- ახალგაზრდების მიერ ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების აქტიური მოხმარების გაზრდილი რისკები;
- საპენსიო დანაზოგების გააზრებისა და ადრეული ფორმირების აუცილებლობა;
- კომპეტენტური საინვესტიციო ქცევის მზარდი მნიშვნელობა, როგორც ეროვნული ეკონომიკისთვის, ასევე მთლიანად მომავლისთვის.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ფინანსური წიგნიერების სხვადასხვა ფაქტორ-

1 Atkinson A., Messy F. Measuring financial literacy: results of the OECD. International Network on Financial Education (INFE) Pilot Study. OECD Working Papers on Finance, Insurance and Private Pensions No. 15. OECD Publishing, Paris, 2012

2 Remund D. L. Financial Literacy Explicated: The Case for a Clearer Definition in an Increasingly Complex Economy // The Journal of Consumer Affairs, Vol. 44 (2). 2010. Pp. 276-295.

3 Lusardi A., Mitchell O. S. Financial literacy and retirement planning: New evidence from the RAND American Life Panel: MRRRC Working Paper No. 2007, 157 p.

4 Kneiding, C., & Kritikos, A. S. (2013). Funding self-employment - the role of consumer credit. Applied Economics, 45(13), 1741-1749.

რებთან მიმართებაში, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდების ფინანსური განათლების დონის კვლევა. ჩვენს მიერ გასულ წელს ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ, რომელიც, ასევე სტუდენტთა ფინანსური წიგნიერების საკითხების შესწავლას ისახავდა მიზნად, ნათლად დაგვანახა საკვლევი თემის აქტუალობა, სამიზნე სეგმენტების და კვლევის მასშტაბების გაფართოების აუცილებლობა.¹ ამჯერად, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა შიდა საფაკულტეტო საგრანტო პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა იმერეთის რეგიონის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მარკეტინგული კვლევა ანკეტური გამოკითხვის მეთოდით. კვლევებში მონაწილეობა მიიღო, იმერეთის რეგიონის მასშტაბით, 11-დან 17 წლამდე ასაკის ორასოცმა მოზარდმა (9 საჯარო სკოლა) და ასოთხმოცმა სტუდენტმა. რესპონდენტები შეირჩნენ სტატისტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით, როგორც სააღბათო, ისე არასააღბათო შერჩევის პრინციპით².

გამოკითხულ სტუდენტთა 48% ქალთა სქესის, ხოლო 39% მამრობითი სქესის წარმომადგენელია. სკოლის მოსწავლეთა ფინანსური ცოდნა გაანალიზდა ხუთი ძირითადი ფაქტორის მიხედვით: ფინანსური უნარები, ფინანსური ქცევა, ღირებულებები, ფულის მართვის სტილი, ფინანსური ცოდნა. 18-22 წლამდე ასაკობრივ სეგმენტს მიეკუთვნება გამოკითხულ სტუდენტთა 61%, 21-26 წლამდე ასაკობრივ სეგმენტს - 39%. ბიზნესის ადმინისტრირების და ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტთა აქტივობა თითქმის ყველა სახის ფინანსურ მომსახურებაში მაღალია 67%, არასპეციალობის სპეციალობის სტუდენტთა აქტივობა შედარებით დაბალია - 33%.

კითხვაზე „თქვენთვის რომელი ფინანსური სერვისია ყველაზე რთულად გასაგები“ სტუდენტები პასუხობენ: დეპოზი-


1 Natia Surmanidze , Khatuna Tabagari , Zurab Mushkudiani , Maia Akhvelidiani Financial literacy exchange and its challenges in Post-Soviet Georgia ([http://dx.doi.org/10.21511/kpm.06\(1\).2022.08](http://dx.doi.org/10.21511/kpm.06(1).2022.08)).

2 Philip Kotler.Armstrong Gary. Principlez of Marketing, 14 Tehe Eduition, USA. 2012.

ტები - 25%, სესხები - 17%, პლასტიკური ბარათები - 2%, დაზღვევა - 4%, ინვესტიციები - 39% (იხ.დიაგრამა №1)

დიაგრამა №1 „თქვენთვის რომელი ფინანსური სერვისია ყველაზე რთულად გასაგები“


■ ინვესტიციები ■ დეპოზიტები ■ სესხები ■ პლასტიკური ბარათები ■ დაზღვევა



წყარო: ანკეტური გამოკითხვა

კითხვაზე „რა მიმართულებით გსურთ აიმაღლოთ ფინანსური განათლების დონე“ სტუდენტთა პასუხები ასე განაწილდა: საბანკო მომსახურება (სესხები, დეპოზიტები) - 18 %, ბიზნეს გეგმის შედგენა - 16 %, პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა - 14% ფიზიკური პირების დაბეგვრა - 11%, პროექტის წერა - 15%, ინვესტიციები - 17% , სადაზღვეო სისტემების ფუნქციონირება - 6%, საფონდო ბირჟები - 3%.(იხ.დიაგრამა №2)

დიაგრამა №2 „რა მიმართულებით გსურთ აიმაღლოთ ფინანსური განათლების დონე“




წყარო: მარკეტინგული კვლევა

კვლევის დადებით ტენდენციებში მოიაზრება ის, რომ გამოკითხულთა 87% სურს აიმაღლოს ფინანსური განათლების დონე, უარყოფით ტენდენციებია - ის, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აინტერესებთ კითხვები საპენსიო და სადაზღვევო სისტემების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

სკოლის მოსწავლეთა ანკეტური გამოკითხვის შედეგებმა აჩვენეს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას „არ აქვს მკაფიო იდეები თუ როგორ უნდა დახარჯონ ფული“ (38%), „მშობლები ითხოვენ დაზოგვას მაგრამ რეგულარულად ვხარჯავ მეტს“ პასუხობს რესპონდენტთა 26%, „მიჩვეული ვარ ფულის დახმარებით პრობლემებისაგან თავის დაღწევას“ - 13%, „დროდადრო მივდივარ წვეულებებზე და ვახორციელებ გაუთვალისწინებელ შესყიდვას“ - 12%, „მშობლები ნებას მრთავენ ავისრულო ნებისმიერი „ახირება“-12% (იხ. დიაგრამა № 3)

დიაგრამა №3 მოსწავლეთა მიერ ფულის ხარჯვის გამოცდილება



წყარო: მარკეტინგული კვლევა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, აქტიურად მიმდინარეობს, ფინანსური წიგნიერების დანერგვის მცდელობა, დამოუკიდებელ საგნად ან საგანმანათლებლო დანესებულებებში შესწავლილი არსებული საგნების ნაწილად. ფინანსური წიგნიერების სწავლებას არჩევითი სასწავლო კურსის სახით, საბაკალვრო

განათლების საფეხურზე, მიზანშეწონილად მიიჩნევენ გამოკითხულ სტუდენტთა 12%-ი. სკოლის მოსწავლეთა 16%-ს სურს ფინანსური წიგნიერების შესწავლა ეკონომიკის საგანში, ხოლო 14%-ს სამოქალაქო განათლების საგანში. ფინანსური განათლების საკითხების ინტეგრირება მათემატიკის საგანის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიაჩნია გამოკითხულ მოზარდთა 19%-ს. რესპონდენტთა (მოსწავლეები, სტუდენტები) უმრავლესობა (81%) აფიქსირებდა მოსაზრებას, რომ წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე მისცემოდათ ფინანსური განათლების ამაღლების საშუალება. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე სამიზნე სეგმენტების ამ მოთხოვნის საპასუხოდ, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, მხარდამჭერ ორგანიზაციებთან ერთად (სააქციო საზოგადოება „თიბისი“ ბანკი, სასწავლო ცენტრი „მერმისი.“) დაარსა ფინანსური განათლების ცენტრი. ასევე, უნივერსიტეტში, სკოლის მოსწავლეთა მოთხოვნების იდენტიფიცირების საფუძველზე, ჩატარდა „ვორქშოპი“ თემაზე „ფინანსური წიგნიერება გზა წარმატებული მომავლისკენ“ და ფინანსური წიგნიერების საკითხებზე არასპეციალობის სტუდენტებისთვის ტრენინგი.

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლადდაარსებული ფინანსური განათლების ცენტრი მომავალში გაგრძელებს ფუნქციონირებას ინტეგრირებული სქემის მიხედვით: „მოსწავლეები და სტუდენტები“, „მოსწავლეები - მშობლები-მასწავლებლები“. ამ სქემამ უკვე დაამტკიცა თავისი ეფექტურობა დიდ ბრიტანეთში, კანადაში, აშშ-ში, ავსტრალიაში და სინგაპურში.¹ ფინანსური განათლების ცენტრი, მომავალში კოლაბორაციის პრინციპზე დაფუძნებით უზრუნველყოს იმერეთის რეგიონის მოსახლეობის ფინანსური განათლების საერთო გაგების ფორმირებას, როგორც საჯარო საკითხისა, ყველა ძირითად საჯარო თუ კერძო სტრუქტურაში. ცენტრის ბაზაზე

1 Schelkle, W. (2012). A Crisis of What? Mortgage Credit Markets and the Social Policy of Promoting Homeownership in the United States and in Europe. *Politics & Society*, 40(1), 59–80.

შემუშავდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროდუქტები (CD-R სახელმძღვანელოები, კროსვორდები მოზარდებისთვის, როლური თამაშები, ტრენინგები, მულტიმედიური პრეზენტაციები, სწავლების ინოვაციური მეთოდები მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, და ა.შ. რამდენად შეძლებს პედაგოგიური თეორია და საგანმანათლებლო პრაქტიკა, კვლევის შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციების გამოყენებას, დიდწილად სკოლების სასწავლო პროცესში ჩართულ პროფესიონალებზე და ფინანსური წიგნიერების საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და დანერგვაზე იქნება დამოკიდებული

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დაუშვებლად მიგვაჩნია, არა მხოლოდ ახალგაზრდების, არამედ საქართველოს მოსახლეობის ფინანსური წიგნიერების დონის ამაღლების პრობლემის გადაჭრის დაგვიანება. როგორიც არ უნდა იყოს ფინანსური წიგნიერების სწავლების კონკრეტული მიზანი, ვფიქრობთ, სარგებელი ყოველთვის იქნება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და მომავლისადმი ნდობის გაძლიერება, ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების სტაბილურობა და კეთილდღეობა.

REFERENCES:

1. National Strategy for Financial Education of Georgia 2023. **<https://finedu.gov.ge/ge/finansuri-ganatilebis-strategia-1>**
2. Atkinson A., Messy F. Measuring financial literacy: results of the OECD International Network on Financial Education (INFE) Pilot Study. OECD Working Papers on Finance, Insurance and Private Pensions No. 15. OECD Publishing, Paris, 2012.
3. Remund D. L. Financial Literacy Explicated: The Case for a Clearer Definition in an Increasingly Complex Economy // The Journal of Consumer Affairs, Vol. 44 (2). 2010. Pp. 276-295.
4. Lusardi A., Mitchell O. S. Financial literacy and retirement planning: New evidence from the RAND American Life Panel: MRRC Working Paper No.2007, 157 p.
5. Kneiding, C., & Kritikos, A. S. (2013). Funding self-employment - the role of consumer credit. Applied Economics, 45(13), 1741-1749.
6. Surmanidze Natia, Khatuna Tabagari , Zurab Mushkudiani , Maia Akhvlediani **Financial literacy exchange and its challenges in Post-Soviet Georgia** ([http://dx.doi.org/10.21511/kpm.06\(1\).2022.08](http://dx.doi.org/10.21511/kpm.06(1).2022.08)
7. Kotler Philip.Armstrong Gary. Principles of Marketing, 14th Edition, USA. 2012.
8. Advancing National Strategies for Financial Education. A Joint Publication by Russia's G20 Presidency and the OECD [Электронный ресурс]. URL: www.oecd.org/finance (дата обращения: 10.11.2017)
9. Schelkle, W. (2012). A Crisis of What? Mortgage Credit Markets and the Social Policy of Promoting Homeownership in the United States and in Europe. Politics & Society, 40(1), 59-80.

MARKETING RESEARCH OF FINANCIAL LITERACY FACTORS AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE REGION

Maia Akhvlediani,

Academic Doctor of Economics,
Associate Professor at Akaki Tsereteli State University,
maia.akhvlediani1@atsu.edu.ge;

Irine Kopalini

PhD in Business Administration,
Invited Lecturer at Akaki Tsereteli
State University;

Natela Janelidze

PhD in Business Administration,
Assistant Professor
at Akaki Tsereteli State University

RESUME

In the modern world money and all issues connected with financial wellbeing take an extremely important place. The relevance of the research topic is explained by the fact that nowadays it is necessary the regular monitoring of the mood and needs of citizens and tracking the dynamic of demand for certain financial products, identifying errors and misunderstanding that citizens face when making financial decisions. The Georgian consumer is unique and his financial behaviour has an expressed national, cultural and geographical specificity. The financial culture, literacy and experience of our population are just starting to take shape. This research aims to deepen regional studies concerning various factors of financial literacy (financial skills, financial behaviour, values, style of money management, financial knowledge), in particular, to study the level of financial education of students and young people.

In the article, we studied the influence of financial literacy factors

on the financial behaviour of pupils and students, using the synthesis and analysis of various scientific approaches, questionnaires and statistic processing methods, concerning the research problem. A financial education center was established at Akaki Tsereteli State University for the first time in the region, based on the analyses and the data obtained as a result of marketing research. Based on the centre, various measures have already been implemented in terms of improving the financial literacy of students and pupils. The main goal of the centre for the future will be the promotion of the culture of financial education of students and pupils within the available resources.

Key words: financial knowledge, financial culture, financial behavior, financial skills, financial institutions, financial education, financial competence, values.